რთულ ზმნისწინთა სემანტიკა ქართულში

თამარ კუსიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი ენათმეცნიერება

კურსის ხელმძღვანელი: თამარ სუხიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კუსიანი

10.07.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემას წარმოადგენს რთული ზმნისწინების ძირითადი გრამატიკული და სემანტიკური ფუნქციები ქართულში. სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია რთული ზმნისწინის სემანტიკური ველები. რთულ ზმნისწინთა ძირითადი სემანტიკური ფუნქციების შესწავლასთან ერთად განხილულია მათი სემანტიკური ნიუანსებიც.

ნაშრომის თეორიული ნაწილი ეთმობა ქართულ ენაში ზმნისწინების შესწავლის ისტორიის მიმოხილვასა და ზმნისწინთა ფუნქციების აღწერას; პრაქტიკულ ნაწილში კი წარმოდგენილია რთულ ზმნისწინთა ანალიზი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის, ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ქართული ენის კორპუსის მონაცემთა მიხედვით. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და ქართული ენის კორპუსებში წარმოდგენილი ილუსტრაციების საფუძველზე შევეცადეთ, შეგვესწავლა ზმნისწინის - როგორც დერივანტის ფუნქცია და გაგვერკვია, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ზმნამ მნიშვნელობა ზმნისწინის (მოცემულ შემთხვევაში რთული ზმნისწინის) დართვით.

საკვანძო სიტყვები: რთული ზმნისწინი, ზმნისწინის ფუნქციები, ფორმათმაწარმოებელი, სიტყვათმაწარმოებელი, სემანტიკური ველები.

Abstract

The subjects of this present work are the functions of complex preverbs and the main semantic nuances in Georgian language. Semantic fields of the complex preverbs are analyzed in this piece of work. This work is valuable because the functions of complex preverbs and the semantic nuances have been deeply researched there. Each complex preverb is adapted to verb, it is reviewed according to its semantic fields or its functions. Based on this study the preverbs have been classified.

The practical part of the study represents up to the verbs from Georgian explanatory dictionary , which have been adapted to all complex preverbs. All the forms of complex preverbs from Georgian explanatory dictionary have been analyzed by two corpus: according to the data of Georgian national corpus and Georgian language corpus. The research also covers the views of linguists about the functions of the complex preverbs. The study shows the preverbs as derivative. The verb changes its meaning as a result of attaching various complex preverbs.

Keywords: complex preverb, preverb functions, form-producing, word-producing, semantic fields.